499.962.1
მ-234

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

თამარ როინის ასული მამარდაშვილი

# მიმღეობის პარალელური წარმოება ახალ ქართულში
## /ფორმობრივ-ფუნქციური ანალიზი/

10.02.01 – ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი გოგოლაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

ოფიციალური ოპონენტები: 1. თამარ ვაშაკიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

2. ცირა ბარბაქაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, დოცენტი (10.02.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 22 დეკემბერს, $12^{30}$ საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P. 10.07.N7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1, კორპუსი 1, აუდიტორია № 93.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მისამართი: 0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 2).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 18 ნოემბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რამაზ ქურდაძე

- 1947 -

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** მიმღეობის რაობა და მასთან დაკავშირებული სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები არაერთხელ იქცა საგანგებო შესწავლის საგნად ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ცალკეულ ნაშრომებში წარმოდგენილია მისი წარმოების პროცესში გამოვლენილ თავისებურებათა დახასიათება. ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც მიმღეობათა წარმოების განხილვისას იჩენს თავს, არის მათი პარალელური ფორმების არსებობა, რომლებიც მრავლად მოიპოვება როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში. მიმღეობის პარალელურ ფორმათა სიმრავლე მრავალმხრივაა საინტერესო როგორც მათი ფორმობრივ-ფუნქციური, ასევე წარმოშობისა და მასთან დაკავშირებული თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების თვალსაზრისით. წინამდებარე გამოკვლევის აქტუალობა იმითაცაა განპირობებული, რომ უშუალოდ მიმღეობათა პარალელიზმი საგანგებო მონოგრაფიული შესწავლის ობიექტი არ ყოფილა. საკითხის განხილვა პირველ რიგში ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებულ პარალელურ ფორმათა დადგენას მოითხოვს, შემდეგ ამ ვარიანტების გენეზისის გაშუქებას, მათ მაწარმოებელ ელემენტთა ფუნქციურ ანალიზს, აფიქსთა მონაცვლეობის საკითხის გარკვევას სემანტიკური ჯგუფის ფარგლებში, მათ დახასიათებას პროდუქტიულობა-არაპროდუქტიულობის თვალსაზრისით. ეს ყველაფერი კი მთელ რიგ სპეციფიკურ თავისებურებებს გამოავლენს.

**კვლევის მიზანი და ობიექტი.** წინამდებარე გამოკვლევის მიზანია ახალ სალიტერატურო ქართულში არსებულ პარალელურ მიმღეობათა ფორმობრივ-ფუნქციური ანალიზი და მათი ურთიერთმიმართება სემანტიკური თვალსაზრისით; კვლევა იმ მიზეზებისა, რომლებიც განაპირობებს ფორმობრივად განსხვავებული და სემანტიკურად მსგავსი მიმღეობების არსებობას ენაში და, ასევე, დადგენა იმისა, რამდენად განაპირობებს პარალელურ მიმღეობებს შორის არსებული ფორმობრივი სხვაობა ლექსიკურ მნიშვნელობათა დიფერენციაციას.

საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ როგორც არსებული ლექსიკონებიდან მოპოვებული (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი და სხვ.), ასევე მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში დადასტურებული უხვი საილუსტრაციო მასალა.